დამტკიცებულია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2020 წლის 13 აგვისტოს სხდომის ოქმი №7

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საფეხური: სამაგისტრო

პროგრამა: ფსიქიკური ჯანმრთელობა

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა

ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველმა შესაბამისი ტიპის საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ უნდა გაიაროს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა.

წინაპირობა: კონკურსანტს ფსიქიატრის სპეციალობა ან ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მედიცინის, ფსიქოლოგიის, საექთნო, ან სოციალური სამუშაოს დისციპლინებში და მინიმუმ 2 წელი პრაქტიკა ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფჯ) ან მომიჯნავე სფეროში;
(აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს, შესაბამისი ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფჯ) დაწესებულების/დაწესებულებების მიერ გაცემული, მინიმუმ 2 წლიანი პრაქტიკული გამოცდილების დამადასტურებული დოკუმენტი/დოკუმენტები (შენიშვნა: არ არის სავალდებულო აპლიკანტს 2 წლიანი პრაქტიკა ჰქონდეს უწყვეტად, ფსიქიკური ჯანმრთელობის, ერთ დაწესებულებაში)). ასევე, აპლიკანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას B2 დონეზე. ზეპირი გამოცდის დროს ინგლისური ენის ცოდნა შემოწმდება შესაბამისი სირთულის დარგობრივი ტექსტის (მაგ; (დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის DSM 5-ის ე.წ. 'შემთხვევათა წიგნიდან') მცირე ზომის მონაკვეთის წაკითხვისა და (ქართულად) გადმოცემის შედეგად.

ზეპირ გამოცდას ატარებს დარგობრივი კომისია, რომელიც აფასებს აპლიკანტის მიერ ფჯ სფეროს ცოდნას, კრიტიკული აზროვნების უნარს, მოტივაციას, კომუნიკაციის უნარს, ინგლისური ენის კომპეტენციას.

კანდიდატის აკადემიური განვითარებისთვის მზაობისა და მოტივაციის დადგენის მიზნით, ზეპირი გამოცდის დროს აპლიკანტმა უნდა გამოავლინოს, თუ რის მიღწევას გეგმავს იგი აკადემიური და პროფესიული თვალსაზრისით და რა არის პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია. ასევე, კანდიტატმა უნდა ისაუბროს იმაზე, თუ რას მოელის პროგრამისაგან (ცოდნა, გამოცდილება, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ა.შ.).

აპლიკანტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ ზეპირ გამოცდაზე მიღებული ქულა იქნება 51 ქულაზე ნაკლები, ანუ დადებით შეფასებაზე ნაკლები, ის გამოირიცხება ჩასარიცხ კანდიდატთა სიიდან.

შეფასების სისტემა

დარგობრივი ცოდნა და არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
საკითხის ცოდნა (თეორიები, ცნებები, კონცეფციები)		15
ფ.ჯ. დარგის თანამედროვე პრობლემატიკის და განვითარების ტენდენციების ცოდნა		10
პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე ფ.ჯ. სისტემაში არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის შესაძლებლობების იდენტიფიკაციის უნარი		10
ჯამი		**35**

მოტივაცია	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
აპლიკანტის საგანმანათლებლო მიზნების და პროგრამის მიზნების თანხვედრა		5
პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებების გააზრება		5
პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენება პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივიდან		5
ჯამი		**15**

აკადემიური/პროფესიული მოღწევები	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
მიღწევების მრავალფეროვნება (მაგ. გამოქვეყნებები, პროექტები, მათ შორის აკადემიური პროგრამის ფარგლებში, გრანტები, ჯილდოები და ა.შ.)		10
სფეროში მუშაობის გამოცდილება		5
აპლიკანტის მიერ საკუთარი მიღწევების შეფასება/რეფლექსია (ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიკაციის უნარი)		5
ჯამი		**20**

კომუნიკაციის უნარი	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
დასმულ კითხვებზე რელევანტური პასუხების გაცემის უნარი		5
განსახილველ დარგობრივ საკითხზე/საკითხებზე დისკუსიის გამართვის უნარი		5
განსახილველი დარგობრივი საკითხის კომპლექსური ანალიზისი უნარი		5
ჯამი		**15**

ინგლისური ენის ცოდნა	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
პროფესიული/დარგობრივი ტექსტის გაგების უნარი		10
პროფესიული/დარგობრივი ტექსტის გადმოცემის უნარი		5
ჯამი		**15**
ზეპირი გამოცდის ყველა კომპონენტის ჯამი		**100**